№ 259 14 ქრისტეშობისთვე, პარასკევი 1866—1879 14 ქრისტეშობითსვე, პარასკევი № 259

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია:** ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, მარცხნივ, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ. ცალკე ნომერი ღირს შაურად.

**ფასი განცხადებისა:** დიდ-ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] ცეროთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

## „დროებისა" და „ივერიის" რედაქცია გარდავიდა

ერევნის მაედანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლებში, № 2.

---

მომავალ 1880 წელს

## „დროება"-„ივერიის"

### გამოცემაზედ

მომავალ 1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „დროება" და ჟურნალი „ივერია" შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „დროება" გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი „ივერია" კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

### ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში: „დროების" რედაქციაში, ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба"-„Иверіи".

### ფასი

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს. |
|---|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" — ერთად | | — 13 მან. | — 7 მან. | — 4 მან |
| ცალკე: | „დროება" — — | — 9 „ | — 5 „ | — 3 „ |
| | „ივერია" — — | — 6 „ | — 4 „ | — 2 „ |

ცალკე ნომერი „დროებისა" ეღირება — 5 კაპეიკი.

— — „ივერიისა" — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება"-„ივერიისა" { თ. ილ. ჭავჭავაძე. სერ. მესხი.

---

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**პეტერბურღი, 11 დეკემბერს.** „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 9 დეკემბერს მიღებული ქ. კანიდამ: წუხანდელი ღამე ხელმწიფე იმპერატრიცამ უფრო ცუდათ გაატარა, ვინემ წინათ; დღისით ნაკლებად ახველებს, ღამე კი ხველება მატულობს; გული ნაკლებათა სტკივა; ციება აქვს.

## პეტერბურღის ბირჟა, 11 დეკემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემი — — | 93--25 |
| მეორე — — — — | 92—50 |
| მესამესი — — — | 94—25 |
| მეოთხესი — — — | 93—50 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 90— „ |
| აღმოსავლეთის მეორე — | 90— „ |
| ღმოსავლეთის, მესამე — | 90—37 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 7—88 |
| ტფილისის საადგ.-მამ. ბანკის | |
| გირაოს ფურცელი — | „— „ |
| შინაგანი 5%. სესხის ბილეთები | მან. კაპ. |
| პირველი სესხის— — | 230—50 |
| მეორე სესხის — — | 225—50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25— | „ პენსი |
| ჰამბურღი — — | 127— | „ ცენტი |
| პარიჟი — — — | 264— | „ სანტიმი |
| ვენა — — — | 213—25 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

---

# საქართველო

### დღიური

*** ვისაც ზამთარში და საზოგადოთ ცუდ ტაროსში უვლია კახეთისაკენ, იმისთვის, უეჭველია ძალიან სასიამოვნო იქნება შეტყობა, რომ ამ ჟამად ბომბორზე შოსსეს გზა კეთდება და ეს გზა, როგორც ამბობენ, ამ რამდენიმე თვის განმავალობაში მზათ იქნებაო. ჩვენ გავიგონეთ აგრეთვე, განზრახვა არისო, რომ ტფილისსა და თელავს შუა ომნიბუსები (დილიჟანები) გამართონო, რომელიც სიღნაღზედ ივლისო. ეს თუ შესრულდა, ხომ კიდევ უკეთესი; ფასიც უფრო ნაკლები იქნება მაშინ და არც იმდენ წვალებასა და ტანჯვას გამოივლიან კახეთისაკენ და კახეთიდამ მიმსვლელ-მომსვლელი ხალხი, როგორც ახლა.

ამას გარდა ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბომბორის გზის გაკეთებისა და განსაკუთრებით ომნიბუსების გამართვის შემდეგ ფოჩტაც უფრო ხშირად ივლის ტფილისსა და კახეთს შუა, ვინემ ახლა დადის. როგორც გასაკვირველი არ არის, მართლა, რომ მთელი ამისთანა მხარეს; როგორც კახეთი, მხოლოთ კვირაში ორჯელ აქვს საშვალება, რომ ქვეყნიერობის ამბავი შეიტყოს, ან საჭირო წიგნების გაგზავნის სადმე, ან გაზეთი მიიღოს და სხვ.

*** მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოების უკანასკნელს სხდომაში გრაფ უვაროვს ულაპარაკნია ჩვენი ქვეყნის არხეოლოგიურ გამოკვლევებზე და სხვა-

თა შორის სამთავრის მონასტრის (მცხეთას) აკლდამებზე. გრაფ უვაროვს გაუთხრია სამთავროში რამდენიმე აკლდამა და, იმის გამოკვლევით ამ აკლდამებში ნაპოვნი ნივთები ამტკიცებს, რომ აქ დამარხული ხალხი სამს ეპოქას ანუ დროს ეკუთვნის:

სულ ქვემო ძველს აკლადამებში უპოვნია ძველის, ბრონზისა და რკინის იარაღები, ისრები და აგრეთვე ზოგიერთი ისეთი ქვების ნივთები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ აქ დამარხულ ხალხს სპარსეთთან ჰქონია კავშირი, რადგან ეს ქვები უფრო სპარსეთში მოიპოვებიან.

ამავე აკლდამებში რამდენიმე კაცის ჩონჩხები ერთათ უნახავს—ეს, გრაფ უვაროვის აზრით, სრულებით იმას არ ამტკიცებს, როგორც ბაიერნი ამბობს, რომ ამდროინდელი ხალხი ვითომ კაცის-ჭამიები იყვნენ და როცა ვინმე მოკვდებოდა, ცოცხალ ადამიანს მსხვერპლად შესწირვიდნენ; ეს ამტკიცებსო მხოლოთ იმას, რომ ამ დროში ჩვეულებად ყოფილა, რომ თითო ოჯახს ცალკე და განსაკუთრებული აკლდამა ჰქონოდა.

საშუალ აკლდამებში გრაფ უვაროვს უპოვნია უფრო სხვა-და-სხვა გვარი და ხელობის ნივთები, თიხის ჭურჭელი კარგათ ნაკეთები და ისეთი სხვა ნივთები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ამ დროს ხალხს ინდოეთთან ჰქონია მისვლა-მოსვლა და ვაჭრობა.

სულ ზევით აკლდამებში გრ. უვაროვს უპოვნია, სხვათა შორის, ვერცხლის მანეთი, რომელზედაც ლათინურად „ცეზარ აუგუსტუს" და რომელზედაც გამოხატულია რომის იმპერატორი ავგუსტი. ეს ამტკიცებს, რომ ამ დროს რომაელებთან ჰქონიათ კავშირი.

რადგან ამგვარი მანეთების მოჭრა რომში ქრისტეს დაბადებამდინ ოც-დაშვიდის წლის წინეთ დაიწყეს, ამის გამო ცხადია, რომ ქვემო აკლდამებში დამარხულს ხალხს რამდონიმე საუკუნით უფრო ადრე უცხოვრია; უფ. უვაროვის აზრით, სამთავრის ძველი აკლდამები ოთხასი წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდინ უნდა იყვნენ გაკეთებულნი.

*** ჩვენ გვაცნობებენ, რომ თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილს ამხანაგობის დაარსებაში სრულ და თანასწორ ამხანაგად უხდებიან თ. ზაქარია გიორგის ძე ერისთავი და ივანე იაგორის ძე ზუბალოვი, რომელნიც იქნებიან აგრეთვე თავის მთელი შეძლებით პასუხის-მგებელნი ხსენებული ბანკური ამხანაგობის ოპერაციებში.

აქისთანა სანდო და შეძლებული კაცების შეერთება, უეჭველია, უფრო მომეტებულ ნდობასა და სახელს გაუკეთებს ამხანაგობას.

თვითონ ამხანაგობა, როგორც გვითხრეს, მომავალი 1880 წლის თებერვალში გაიხსნება და დაიწყებს მოქმედებას.

*** რაჭიდამ გვწერენ: „ამ უკანასკნელი 12—13 წლის განმავლობაში ჩვენს მაზრაში ბევრი ლამაზი ქვის საყდრები ააშენეს; მაგრამ არ შემიძლია არა ვსთქვა, რომ ბევრს გლეხს და აზნაურსაც დააჩინა კვალი ამ ეკკლესიების შენებამ. ამას წინეთ მე თვითონ ჩემის თვალით ვნახე, რომ სასამართლოს პრისტავმა ორს გლეხს და ერთს აზნაურს აუწერა მოძრავი ქონება ეკკლესიის შენებაზე ალებულს ვალში."

---

## წერილი რედაქტორთან

—

უფალო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთში, „დრო-

---

# ფელტონი

---

## ისტორიული მასალები

(გაგრძელება)

სელიმ-ფაშამ მოილაპარაკა ალზი ბეუგთან და არჩია წასვლა აჭარას. ახალმა ფაშამ ბაბა-ფაშამ არტაან-ბეგი მუსალიმად გამოაგზავნა ახალციხეს. 8 აპრილს ჰაიათ-ბაში დაალჩო მუსალიმმა; 18-ს მაჰმუდ-თურანი სარასკარი მოვიდა; ისე ჩაებეზღებინათ შარიფ-ფაშის მტრობით, რომ ვიდრე სელიმ-ფაშა რომელიმე საშუალით არ მოისპობა, ახალციხეს ფაშობას ვერავინ შეიძლებსო. მაჰმუდ-თურანიც თურმე მისთვის გამოეგზავნა ბაბა-ფაშას; ამან 24 მაისს ჯარი წაიყვანა აჭარას მშვიდობის პირით, დაუახლოვდა სელიმსა და შინაურულად სხვა და სხვა გავლილ, აწმყო და მომავალ საგნებზე დაუწყო საუბარი; მიენდო ისიცა და მოელოდა საქმის თავისკენ გარდაწყვეტასა. მახმუდ-თურანი კი ყოველის მხრით თავის საქმეს იმაგრებდა; ამით მოემარჯვა და 3 თიბათვეს ღალატით თავი მოაჭრევინა სელიმისათვის.

ამ დროს ადგენენ ყოველ მხრით აჭარლები; მაჰმუდ-თურანი წლამდის დარჩა აჭარაში, ვერსად ვერ წავიდა; ადგილობრივ თავისი ჯარი იცვემდა და თავის თანამგრძნობელნი აჭარის ავნი კაცნი 10 თიბათვეს ბაბა-ფაშა (იეგან-ფაშა) შევიდა ახალციხეში დიდის ჯარით; ძლიერ ცივად მიიღეს ახალციხელებმა, რადგან მეტად ეწყინათ სელიმ-ფაშის მოკვლა. შემდეგ ბაბა-ფაშა ყარსს წავიდა.

1816 წ. ახალციხელები ერთიან აუდგნენ იეგან-ფაშას ფეხზედ, დაიჭირეს ციხე, ფაშა ხელთ იგდეს და აიკლეს მის ათბაჰი თუ ჰაითები. დიდი ანღრეულობა გაჩნდა ქალაქში; კინალამ ცოცხალ-ცოცხალი დაჰგლიჯეს ფაშა. თოფალ სულია მოიყვანეს ქვაბლიანითგან მოშლილი 400 ჰაითით, იქაც დასცემოდნენ და დიდ-ძალი ჰაითა გაეწყვიტა ოლქელებსა. ესენი ერთიან სურგუნში გაყარეს.

ალზი-აჩული მოვიდა ხერთვისითგან და ამან დაამშვიდა აღელვებული ხალხი. 9 თიბათვეს სალი-ოღლი მოვიდა ახალციხეს იენიჩარალად. მაჰმუდ-თურანი გაუშვეს აჭარიდგან თავისი ხლებული ჯარითა. შემდეგ 4 მკათათვეს ახალციხის ჯარი ახალქალაქისკენ წავიდა სამზღვრების დასავლელად; მაგრამ ცოტახანს უკან მობრუნდა. აქაური ჯარი ბაბა-ფაშაზედ წავიდა. ბაბა-ფაშის ჯარი კი ფოცხოვს, წურწყაბს, ჩამოვიდა და დიღვირს ავიდა; იქვე წავიდა აგრეთვე ალზი აჩულიც თავისთან ხლებული ხერთვისის ჯარით. იქ დასცემოდა უვიცად ბაბა-ფაშა და ახალციხის ჯარი მოშლილიყო, ისინიც დასდევნებოდნენ, ჩამოსულიყვნენ ვალეს; შემოეხვია ახალციხეს და ატყდა დიდი ბრძოლა: გარეთგან ბაბა-ფაშის ჯარი ებრძოდა და შიგნითგან მოქალაქე. 11 დღეს ასეთი ყოფა უდგათ, რომ მტერსაც შეეზარებოდა: ჭრა-კვლა, ქლეტა უწყალოდ, წყვა სარგვლა და გინება-გმობა; ბოლოს მოქალაქემ აჯობა და გააქციეს ბაბა-ფაშა.

1817 წ. 4 თიბათვეს ალზი-აჩული მოვიდა ხერთვისიდგან იენიჩარ-ალის სანახავად, რომ შეუძლოდ იყო. ერთი წელი შინაურად იმართოდა ახალციხის საფაშაოს 24 მაზრა. 1818 წ. თიბათვეში აჰმად-ბეგი მოვიდა მუსალიმად. მაისში ჰაფიზ ალი-ფაშის ქეჰა ჰარემი და თული მოვიდნენ.

1819 წ. 8 მარტს ჰაფიზს ალი-ფაშას აზრუმის მანუფი მოუვიდა და თვითონ აზრუმს წავიდა. 7 მარტს შაჰან-ალი ფაშა მოვიდა. ამ ფაშამ ძლიერ კავში დაიჭირა ქვეყანა; პური საწუთროო გააეფა თურმე სულ თავდილად დადიოდა; სიმშილობაზედ გაალებინა ბეგებს და ალებს ბეღლები, ორმოებში შენახული ქერი, პური გამოაჩენინა, ისე გაიეფდა, რომ წყალთა წყევა იყო ყოველი ჭირნახული.

ების“ № 245-ში, წავიკითხე ერთი კორრესპონდენტის სტატია, რომელშიაც იყო ქება იმაზედ,—თუ ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი რა რიგ ღირსეულ ყურადღებას აქცევს ქართულ ენას და მის მასწავლებლებს.

კორრესპონდენტის სიტყვები დირექტორზედ სასიამოვნოა და მოსაწონი; მაგრამ შემდეგი სიტყვები ამ სტატიის ავტორისა: „ჩვენ მხოლოდ ის ვისურვოთ, რომ მიბაძონ ჟ. სტაიანოვს ქუთაისის პროგიმნაზიამ, საქალებო გიმნაზიამ და სასულიერო სასწავლებელმა, სადაც ქართული ენის სწავლა ბარბაროსების ხელში ჩავარდნილი“—არ არის სასიამოვნო; მით უმეტეს არ არის სასიამოვნო, რომ ზემოხსენებული სიტყვები შეეხება ყველა ამ სასწავლებლების ქართული ენის მასწავლებლებს და დავიჯეროთ, რომ ამოდენა რიცხვში არ იყოს იმისთანა მასწავლებელი, რომელსაც ესმოდეს თავისი საგანი, პატიოსნათ და სინიდისიანათ ეკიდებოდეს თავის საქმეს? ეს არ არის დასაჯერებელი და არც არის პატიოსნება კაცისთვის, როდესაც იგი უსაფუძვლოთ ქუჭყს ასხობს ყველა მასწავლებელს გაურჩევლად.

მე არ შევეხები პიროვნებას და არც ვიტყვი—თუ ვინ როგორ ასწავლის ქართულ ენას, რადგანაც ამაზედ ლაპარაკს ჯერ-ჯერობით საჭიროთ არა ვრაცხ; მაგრამ ამას კი ვიტყვი და დარწმუნებულიც ვარ, რომ ქართულ ენის მასწავლებლებში არის ზოგიერთა იმისთანა პირი, რომელიც არა-ნაკლებ ავტორისა გრძნობს ქართული ენის საჭიროებას, ესმის თავის საგანი, შრომობს და საქმეც გვარიანათ მიჰყავს.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი, ა. ბენაევი.

# თეატრი

## ქართული წარმოდგენა

12 დეკემბერს.

არა გვგონია, რომ კარგა ბლომა მაყურებლებში, რომელნიც წუხელ დაესწრნენ თეატრში, ერთი ვინმე დაბრუნებულიყოს შინ გულ-ნაკლული და უკმაყოფილი ქართულის ტრუპპის წარმოდგენაზე.

მაგიერად ბევრი დარჩა უკმაყოფილოდ თვითონ იმ პიესებზე, რომელსაც თამაშობდნენ, და ამათ უკმაყოფილებას, უნდა გავტყდეთ საფუძველი ჰქონდა.

მართალია, ვერავინ ვერ გაიგო—რა იყო პირველი პიესა „ბედნიერი ქალი“. კომედია იყო, ვოდევილი თუ ფარსი? მაგრამ რაც იყო, სწორედ უმარილო რამ იყო. ავტორს, უეჭველია, რომელიმე ტიპის ანუ იქნება ტიპების გამოყვანა ჰქონია მხედველობაში; მაგრამ ნაცვლად ამისა სცენაზე გამოდიან თოჯები, რომელნიც ერთ-ორ სიტყვას წამოისვრიან, მიტრიალდებიან, მოტრიალდებიან და გავლენ. კაცმა ვერ გაიგო—რა აზრით არის ეს ორ-მოქმედებიანი კომედია დაწერილი; რა მოვლენა და როგორი ხასიათის ხალხი უნდა გამოეხატა ამ პიესაში ავტორს.

ისე უინტრიგოდ მიდიოდა მოქმედება, ისე უშნოდ და უკუღმოთ გათავდა, რომ ზოგიერთები მეორე მოქმედების შემდეგ კიდევ რაღაცას მოელოდნენ, ეგონათ უთუოთ ახლა დაიწყება ნამდვილი ინტრიგა და ერთი რამეთი გათავდებაო.

მ. აბაშიძისა (საფაროვისა) თამაშობდა

---

ამბობენ, ერთხელ ღარიბი მთხოვარის ძონძით გავიდა ფაშა ერთი ალის კალოზედ და სთხოვა ფაშის გაკვეთილ ნიღრზედ ჭირნახული. თურმე აღამ არ მისცა და კიდეც შეაგინა ფაშას მეორე დღეს მოიხმო ეს ალა თავის სარაიაში და რა შეხედა აღამ სახეზე ახალ ფაშას, იცნო და მაშინვე შიშით ტუჩი გაუსქდა, დააყვედრა თავის უწყალობა და მაშინვე ჩამოაღრჩობინა! ბევრჯერ უბან-უბან დადიოდა, მოხუცებულებს ალაპარაკებდა ძველ ამბავებს და რომ დაასრულებდნენ, მუჭით ოქროებს დაუტოვებდა მჯდომარეს მუხლს ქვეშ...

12 ფარათ თურმე ბათმანი ქბილი იყო. ერთმა გლეხმა მოიტანა ნაქები პურის ქბილი თათუხისა; ამასაც თორმეტი ფარის მეტი არავინ მისცა; გაწყრა გლეხი და მთელი ტომრები ქბილისა ახალციხის წყალში ჩაცალა! ეს შეიტყო ფაშამ და მიიხმო დასასჯელად. ჰკითხა:

— რათ ჰქმენ მაგნაირი ბრიყვობა?. მთელი ქბილები წყალს მიეც და ხალხს პირში ლუკმა გამოაკელო?

უპასუხა გლეხმა:

— ეს სამაგალითო საქმე თქვენი ბედნიერი სახელისთვის ჩავიდინე: მომავალში სთქვან, რომ ბანდერლი ალი-ფაშის დროს ისე იეფობა იყო სიმშილობა ზედ, რომ წყალში ჰყრიდნენ ქბილებსაო!..

ეს პასუხი ისე ესიამოვნა ამ გლეხითგან, რომ ხალათით დააჯილდოვა. ბევრი ამნაირი კარგი მაგალითებია ამ კარგ კაცისა; მაგრამ ბრალი, რომ ცოტა დღე ჰქონდა ახალციხეს...

1821 წ. შაჰან-ალი-ფაშა წავიდა ადრანას, სარასკარი გახდა.

1822 წ. ალზი-აჩულს-ბაშ-აღას თავი მოსჭრეს ხერთვისს.

დალონებული მამულა დაკურჩხულია ქარისა,
დაწვა და ნახა სიზმარი, ზალუმის თავის ალისა,
ბაშ-ალა ჩვენი ბატონი მოყვარულია ფარისა,
ფულის ესაბი არ იცის, მარგალიტის და თვალისა.
სიმასიბილორის შუშა წამოწკიპული კარისა,
ცხვარი, ძროხა ჰყავს სულ ბევრი, „ცხენის ილხი, მთა-ბარისა.
ოთხასი ქჯენის ქურქი აქვს, ხარის ხეს გირდაკიდული,
ოქრო ვერცხლის ნივთეული თაროებს გარდახიდული.
ქამალ-ოღლი აბდულ ალა ჰყავს ძველად გარდაკიდული;
ახალციხით დაიბარა აჭარლები მოყიდული:
„მიშველეთ, აგერ ფაშაც მტრობს, სანჯახი ჰყავს მიზიდული.
„თეთრი ამ შავ დღისთვის მინდა, არ ვარ სწორედ მოქადული!“
წამოვიდნენ აჭარლები, მით თავი არ გაესალა.
სანამ ასპინძას მოვიდნენ, თავს დაეცა აბდულ-ალა
მწოლიერეს შინ შეუხტა... შინაურებს ემტროთ რაღა!
ჩასძახა: ადეგ, რას წევხარ? შენ თავს უშველე, ბაშ-ალავ!
აგერ მოდის ფაშის ჯარი!“ თვითონ ხელით დაანახა.
ბაშ-ალა საჯაბხანესა პერანგითა გავარდება,
ბულლებს აყარა ბარუთი, უწყო ლალუმსა მზადება...
ნაჭვრეტიდგან აბდულ-ალამ ფიმტო დაცალა, ვარდება,
მოხვდა ბარუთს, აიფეთქა, ბაშ-ალა გადავარდება...
გაათრიეს, ცეცხლთან დასვეს, კანკალებს, თრთის, ცეცხლს ვარდება.
ტყვია ჰკრეს და თავი მოსჭრეს, ასე მიწას მიჰბარდება!

ვინმე მესხი.

ახალციხე, ნოემბრის 30.

(დასასრული შემდეგ №-ში)

ახალგაზდა, გასათხოვარი ქალის როლს, რომელიც ყველას ასულელებს, ყველას ატყუილებს და ერთის სიტყვით ისეთს საქმეებს და ოინებს სჩადის, რომელიც სოფლის ახალგაზდა „ბარიშნას“ კი არა, უფრო ბირჟის მატყუარა ხალხს, გაიძვერებს, „ზაიცებს“ რომ ეძახიან, იმათ შეჰფერის. საიდამ ამოიჩხრიკა უფ. ავტორმა ამისთანა ტიპი ჩვენს ცხოვრებაში?!

თუ ერთ ალაგას გაიცინა საზოგადოებამ ამ პიესის წარმოდგენის დროს, ამისათვის უფ. ავტორი ყველაზე უფრო საფაროვის ქალის, პ. მესხის და მაჩაბლის ჩინებულ, ლაზათიან თამაშს უნდა უმადლოდეს. საფაროვის ქალისაგან და უფ. პ. მესხისაგან იმ გვარი როლების კარგათ აღსრულებას, რომელიც იმათ ჰქონდათ, ყოველთვის მოველოდით. მაგრამ ჩვენ სასიამოვნოდ გაგვაკვირვა უფ. მაჩაბლის ცოცხალმა, მოხდენილმა თამაშმა.

„ნება მიბოძეთ, ბატონო!“ უფ. ს. ქერესელიძისაგან ახლად გადმოკეთებული ორ-მოქმედებიანი კომედია არის. ბევრი ღირსება არც ამ კომედიასა აქვს, განსაკუთრებით სუსტია და მოსაწყენი პირველი მოქმედების ბოლო. მაგრამ რაც უნდა იყოს, აქ სასაცილო მდგომარეობა და სასაცილო ტიპები მაინც არიან გამოყვანილი, და თუ იმასაც დაუმატებთ, რომ საუკეთესო როლებს ბაბუნიას ქალი უფ. ვ. აბაშიძე და პ. ყიფიანი ასრულებდნენ, მაშინ მიხვდებით, რომ კომედიის წარმოდგენა კარგათ უნდა წასულიყო. უფ. ვ. აბაშიძე სომხის როლს თამაშობდა; მაგრამ თამაშობდა ისე, რომ თქვენ გეგონებოდათ თეატრში კი არა ვართ, რომელიმე ზედ-გამოჭრილ ნამდვილ სომეხს ვხედავთ. კარგია, კარგი, როდესაც ამისთანა ნიჭიერ თამაშს ხედავ სცენაზე.

ამის ცოლის ბაბუნიას ქალის თამაშიც თავის ქმრის ლაზათებს შეეფერებოდა.

უფ. პ. ყიფიანს ისეთი მშვენიერი, მახვილი როლი (თ. ნ. ვარამაძე) ჰქონდა, რომ თამაშიც არ უნდოდა, ცარიელი სიტყვები კმაროდა, რომ მაყურებელი გაემხიარულებინა. ამანაც კარგათ ითამაშა; განსაკუთრებით ჩინებულად გამოვიდა ის სცენა, როდესაც თ. ვარამაძე მარმარა (სომხის ცოლი, ბაბუნიას ქალი) მოიგონებენ თავიანთ ძველ არშიყობასა და დროების-გატარებას.

„ცელქები“ ისეთი მშვენიერი, სასცენო და ცოცხალი ვოდევილია, რომ იმის წარმოდგენა ჩვენი ნიჭიერი მოთამაშეებისა საფაროვის ქალისა, უფ. ვ. აბაშიძისა და პ. მესხის ხელში—ყოვლად მშვენიერად და მხიარულად წავა. ამ ვოდევილის წარმოდგენის დროს საზოგადო ყურადღება მიქცეული იყო უფ. ვ. აბაშიძის მნიშვნელობიან გრიმიროვკაზედ..

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

ოსმალეთსა და საბერძნეთს შუა მოლაპარაკება, ახალის სამზღვრების თაობაზედ, ჯერ კიდევ არ გათავებულა; ოსმალეთის მთავრობას აბრალებენ, რომ ის აჭიანურებს საქმესაო, არ უნდაო დროზედ მორჩესო, დაუთმოს რამე საბერძნეთსაო. ამის გამო, როგორც ისმის, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია და იტალია დათანხმებულან ერთმანეთში, ერთად მოსთხოვონ ოსმალეთს, რომ დაუჩქაროს საბერძნეთთან სამზღვრების საქმის გათავებას იმ წესით, რა წესითაც ეს ბერლინის ტრაქტატით არის გადაწყვეტილიო.

— ინგლისურს გაზეთს „ტაიმსში“ დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომელიც გვაცნობებს, რომ სირიის ღენერალ-ღუბერნატორი მითხად-ფაშა დათხოვნილი იქნება თავის თანამდებობიდგანაო.

— „ჰავასის სააგენტოში“ იწერებიან, რომ მინისტრს მაჰმუდ-ნედიმ-ფაშას წარუდგენია სამინისტროში პროექტი იმ რეფორმებისა, რომელიც შემოღებული უნდა იქმნეს ოსმალეთში; ამასთანავე მაჰმუდ-ნედიმს შეუტანია წინადადება ცალკე კომისიის დანიშნაზე, რომელმანც რეფორმების კარგად შესრულებას თვალ-ყური უნდა ადევნოს.

## საფრანგეთი

ფრანცუზულს გაზეთებში დაბეჯითებით ამბობენ, რომ ახლანდელი სამინისტროს თავსმჯდომარე ვადინგტონი ამ ორ კვირაში მიატოვებს თავის თანამდებობას და მხოლოთ უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრად დარჩებაო. ვადინგტონის მაგიერად, სამინისტროს თავსმჯდომარედ გრევი დანიშნავს ახლანდელ საზოგადო მუშაობის მინისტრს ფრეისინესო.

## შვეიცარია

შვეიცარიის საკავშირო კრებამ კავშირის პრეზიდენტად აღმოარჩია უფ. ველტი და ვიცე-პრეზიდენტად—ანდერვერტი.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | " | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავს . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნი . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 13 დეკემბერს. | — | — |
| ფქვ. თეთ. განჯისა ფუთ. | 2 | 50 |
| ფქვ. წითელი . . | 2 | 10 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 70 |
| —ამერიკისა, ფუთი . | 9 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 7 | 80 |
| —თარაქამისა ფუთი . | 3 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 5 | 30 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 40 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 11 | 40 |
| ხორცი ძროხისა .ლიტრა | — | 81 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 81 |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 50 |
| შაქარი გროც. ფუთი . | 8 | 40 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 70 |
| ყავა რგვალი გრვ. . | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 13 | 50 |
| თამბაქო [illegible] ფუ. | 6 | 70 |

### თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მეიდ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ქურაველევი—ვენერიულის და კანისა; გაბოვი—გულისა და შინაგ.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ., ასტვაცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყ. და ქურაველევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტვაცატუროვი—ვენერ. და კანის; გაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შაბათს: ვერმიშევი, შინაგ.; ქურაველევი—ვენგრ. და კანის, რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Декабрь 1879 г. Типографія Меликова გამომც. ხ. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი